№ 14

6 აპრილი

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

1909 წ.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲖᲘᲗ

THE ROYAL VIO

TRADE MARK

ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 6 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ, ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 8½ Ს.

ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ: ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 7 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲡᲬᲠᲓᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲛᲣᲥᲗᲐᲓ

ᲛᲝᲬᲕᲐᲤᲔᲑᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲘᲮᲓᲘᲐᲜ 20 ᲙᲐᲞ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, ред. газ. „ИВЕРІА“ К. П. Туманову.

გაზეთი „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № დღის უველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში საშაბათობით გამოდის.

ᲤᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. თუმანიშვილი.

წარმოდგენა 9. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ წარმოდგენა 9.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 8 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ 1909 Წ.

ᲞᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ ᲕᲐᲡᲝ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I.

ᲨᲔᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲚᲘ ᲫᲛᲐᲠᲘ

კომედია 3 მოქ. მოლიერისა. თარ. გ. თუმანიშვილისა.

II.

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ წინ

ოპერეტა 1 მოქ. მუზ. ფონასისა, თარ. ვ. აბაშიძისა.

III.

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტა 1 მოქ. მუზ. ოფენბახისა. თარ. ვ. აბაშიძისა.

ᲛᲝᲚᲐᲮᲕᲘᲚ. ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘ 3. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲝᲒᲑᲐᲠᲝᲑᲘᲗ.

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ✦ რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. ხაზოგადოების ადმინისტრაცია.

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

„ᲫᲛ. Ა. ᲓᲐ Ա. ᲛᲘᲚᲝᲕᲘ“

განყოფილება გოლოვინის პროსპ, კადეტთა კორპ. პირდაპირ.

ᲤᲝᲛᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲐᲤᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

გადადებული საქონელის

აბრეშუმეულობის, მატელის და ბამბის ქსოვილების, ნახევრათ დამზადებული ტანსაცმელების: მატელის, ბატისტის და სხვ.

ᲢᲠᲘᲙᲝ მამაკაცთა კოსტიუმებისათვის, აუარებელი დარჩენილი ᲜᲐᲭᲠᲔᲑᲘ

ყველა ზემოთ დასახელებული საქონელი გაიყიდება ძალიან

ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.

(1—3 1)

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓ. ᲐᲦᲛᲐᲡᲠ.

აქით აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის მორიგი კრება მოსდება 24 აპრილს ქ. ტფილისში.

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛ.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ადგილობრივ განყოფილებისაგან მიღებულ ცნობის თანახმად, ატყობინებს იმათ, ვისაც ხსენებულ ბანკში მამულები აქვთ დაგირავებული, რომ გაზაფხულის ტორგებზე მსესხებლებს არავითარი შეღავათი არ ექნება და ამიტომ ყველამ ნედლიმ. თავის დროზე და სრულად უნდა გადაიხადონ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲔ

„ᲙᲚᲝ-ᲟᲒᲣᲠᲣᲚᲘ“ ქუთაისში.

ᲛᲗᲔᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲘᲗᲓᲛᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲐᲖᲔᲑᲘ

1200 ჯიშის ამერიკული, ევროპიული და აზიური ღვინის და საქმელ ყურძნის და გიბრიდები პირდაპირ დასარგველი.

ᲞᲠᲔᲘᲡ-ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲡᲜᲐ-ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲔᲛᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲡᲗᲕᲘᲡ. (3—3).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲛᲮ.

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ

დაიწყეს წადება სხვა და სხვა დამყნილ ვაზისა

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. გ. მ. ჩივაძისაგან.

0—1

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

ᲦᲕᲘᲜᲝ

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲥᲐᲨᲘ № 31

„ᲫᲛᲝᲑᲐ“

0—1

ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐᲡ

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ᲜᲐᲮᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ, ᲓᲦᲘᲡ 8½—10 ᲡᲐᲐᲗᲛᲐᲯᲝ—ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲜᲘᲗ 5—7 ᲡᲐᲐᲗᲛᲐᲯᲝ. შეიძლება წერილობითაც.

ᲫᲐᲤᲔ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ᲢᲤ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ ᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲔᲢᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ

(Дворцовая ул.)

ᲩᲐᲘ, ᲠᲫᲔ, ᲧᲐᲕᲐ, ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲔ, ᲙᲐᲙᲐᲝ ᲞᲘᲠᲐᲮᲝᲕᲚᲔᲑᲘ, ᲑᲣᲢᲔᲠᲑᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘ (15 ᲙᲐᲞ. ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲪ)

ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘ

ᲪᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲘᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲘ 25 Კ. ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ

Д.З.САРАДЖЕВЪ

ТИФЛИСЪ.

КАВКАЗСКІЙ НАТУРАЛЬНЫЙ КОНЬЯКЪ

ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘ „ᲛᲔᲚᲐᲐᲜᲘ“

Მ. Მ. Შ. ᲐᲜᲓᲠᲔᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲞ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲜᲡᲚᲔᲑᲘᲗ. № 5

ᲛᲔᲚᲐᲐᲜᲘ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲐᲜᲘ № 493

ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲥᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ № 32

ტფილისი, 6 აპრილი

არა ერთხელ თქმული და ყველამ ვიცით, რომ ჩვენებური ს.-დემოკრატები ტყუილად იჩემებენ ხალხის მეთაურობას, რადგანაც მათ ხალხის ნამდვილ ინტერესების გაგება არა აქვთ და რადგან მათი მოღვაწეობა დღეს დღეობით ხალხისთვის მეტად სახიფათო და მავნებელია.

მავნებელია იმიტომ, რომ ჩვენებურ ს.-დემოკრატების პროგრამა და სამოქმედო ტაქტიკა სრულებით არ შეეფერება ცხოვრების ახლანდელ პირობებს და ივიწყებს იმ ეროვნულ შევიწროვებას, რომელიც ქართველი ერი განიცდის და რომელიც მძიმე ლოდივით აწევს რუსეთში მცხოვრებ ყველა არა რუს ეროვნებასაც.

სამოქმედო ასპარეზზე ჩვენში ს.-დემოკრატები ეროვნულ იდეალების უარყოფით გამოვიდენ,—ეს უარყოფა სარჩულად დაედო მათს სამოქმედო ტაქტიკას და, როცა დასცალდათ და პარტიის წითელი დროშა თამამად აფრიალეს, ამ დროშას ინტერნაციონალი ეწერა, ეროვნულ იდეალების, ეროვნულ მიზნების ხსენება ასად არ იყო...

მხოლოდ მაშინ, როდესაც ს.-დემოკრატების მეთაურობით და ხელმძღვანელობით ბრძოლის ველზე გამოსული ხალხი საშინლად დამარცხდა და როცა რუსის მთავრობამ განსაკუთრებული სასტიკე გამოირინა სწორედ ჩვენში, როდესაც ქართველებზე საშინდად იძიეს შური იმ მოძრაობისათვის, რომელშიაც ქართველი ერი არც ისე რიგად დამნაშავე იყო,—გამოფიზხლდა ცოტაოდნად ქართველი და მასთან ერთად ს.-დემოკრატიც იძულებული გახდა ხალხის გულში გაღვიძებულ ეროვნულ გრძნობისათვის ცოტაოდენი ანგარიში მაინც გაეწია.

ამითი აიხსნება ის ეროვნული სიმები, რომელიც უკანასკნელ ხანებში ვითომც ააჟღერეს ჩვენებურმა ს.-დემოკრატებმა. ეს სიმები მათ ხელში უცნაურ ჰანგზე ჟღერიან,—ეროვნული იდეალი ინტერნაციონალის ქერქში გახვეული, ქართველობის ეროვნული მიმართულება სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიულ პარტიის ლოტბარობით, ბევრი სიტყვა, გაუბედავი სიტყვა, სხვებზედ იერიშის მიტანა იქ, სადაც იყო საჭირო საკუთარ ცოდვათა გულახდილი აღსარება, ვაიმეს ძახილი, ძველ ტაქტიკის დაგდება და ახალ ეროვნულ ტაქტიკის აშკარად გარკვევა...

ეს ვერ მოახერხეს ჩვენებურმა ს.-დემოკრატებმა,—ჩვენ შემცდარი ვიყავით და ხალხს ვატყუებდითო—ამას ს.-დემოკრატი როგორ იტყვის.

რაკი ძველის უარყოფა გულახდილათ არ უნდათ და მასთან ერთად არ უნდათ გულახდილათვე გამოტყდენ, რომ ახლანდელ პირობებში ეროვნულ ინტერესების დაცვა ბურჟუაზიულ ელემენტებს ისევე კარგად და უკეთესადაც შეუძლიათ, ვიდრე ს.-დემოკრატიას,—ამიტომ ყველგან, სადაც ეს ბურჟუაზიული ელემენტები კისრულობენ ამა თუ იმ ერის ერთ ნულ ინტერესების დაცვას,—ს.-დემოკრატები მათ გვერდში კი არ უდგებიან და ზურგს კი არ უმაგრებენ,—ძველებურად ეძგერებიან ხოლმე მათ და ბრძოლას უწყებენ,—ჰგონიათ, რომ ამით ხალხს რაშე ხეირს დააყრიან და ხალხის თვალში სიყვარულს და პატივისცემას მოიხვეჭენ...

ასე მოიქცნენ ს-დემოკრატები და მათთან ჩვენებური ს.-დემოკრატებიც, როცა პოლონელებმა სათათბიროში წინადადება შემოიტანეს იმის შესახებ, რომ პოლონეთში მსაჯულებათა რუსებთან ერთად ადგილობრივი მკვიდრი პოლონელებიც ინიშნებოდეს...

ს.-დემოკრატები ამ ყოველად სამართლიან მოთხოვნას წინ აღუდგენ და უკიდურეს მემარჯვენეებთან ერთად მიემხრენ მთავრობას, რომელმაც გამოაცხადა,—ადგილობრივ ელემენტების სასამართლოში შეშვება მართლმსაჯულებას გარყვნის,—სასამართლოში მხოლოდ ტომით რუს მოხელეს უნდა მიეცეს სამსახური...

ს.-დემოკრატ დეპუტატების ასეთმა მომხრობამ აიშფოთა ყველა პროგრესიული ელემენტები რუსეთში და საზღვარგარეთაც. მართლაც, ს.-დემოკრატიულმა პარტიამ კი, ამ გადაწყვეტილებაში აშკარად გამოაჩინა თავისი ნამდვილი გულისთქმა, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ასე მოხერხებულად ფარავდა სხვა და სხვა ლამაზ სიტყვებით ეროვნულ თვითგამორკვევის შესახებ. სანამ სიტყვა სიტყვად რჩებოდა, ს.-დემოკრატები მაგრად იდგენ თავიანთ პოზიციაზე და ხალხს არწმუნებდენ, ჩვენც ეროვნებათა გათანასწორების მომხრენი ვართო, მაგრამ ესევე სიტყვა საქმედ რომ უნდა გადაქცეულიყო, ვერ მოითმინეს ინტერნაციონალის მოტრფიალებმა და უკიდურეს მემარჯვენეებთან ერთად ძირს დასცეს პოლონელების მოთხოვნა, გეგეკკორიმ და ჩხეიძემ, პურიშკევიჩთან და მარკოვთან ხელი ხელ გადაკიდებულებმა, სამარე გაუთხარეს პოლონელებს ეროვნულ იდეალებს, პოლონელებისათვის დღეს ჩხეიძე-გეგეკკორი სწორედ ძალად გარუსების მომხრენი არიან და ასეთის თვალით უყურებენ მათ არა მარტო პოლონელის ბურჟუაზია, არამედ თვით პოლონელი ს.-დემოკრატებიც...

წარმოიდგინეთ,—პოლონელი ს.-დემოკრატიული ფრაქცია ავსტრიაში ისეთი აღშფოთებული დარჩა რუს ს.-დემოკრატების საქციელით და სხვათა შორის გეგეკკორ-ჩხეიძის მოქმედებითაც, რომ მისმა წევრებმა ვერ მოითმინეს და საყვედურები სვეს წერილი გაოუბჭავნეს ავსტრიიდან. ეს წერილი ჩვენ მკითხველებსაც ალბათ გაცნობილი ექნება, რადგანაც იგი ადგილობრივ გაზეთებშიაც დაბეჭდილი იყო (იხ. „დროება“ აღდგომის ნომერი).

ეს წერილი რუს და ჩვენებურ ს.-დემოკრატებისათვის თვის მოკრა იყო და ამიტომაც ცხადია, რომ ესენი ეცდენდენ თავის მართლებას და საპასუხოდ ხმას ამოიღებდენ,—საზოგადოებას განუმარტავდენ თავიანთ საქციელს და ეტყოდენ, რომ პურიშკევიჩთან ერთად მთავრობის მომხრობა პოლონელების დაჩაგვრას არ უდრისო.

სათათბიროს ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მართლაც, გამოაქვეყნა ავსტრიელ ამხანაგების სასაყვედურო წერილის პასუხი. ეს პასუხი საკმაოდ ვრცელია და ამიტომ აქ სიტყვა-სიტყვით არ მოგვყავს,—ამ პასუხით გეგეკკორ-ჩხეიძეს უნდათ თავი გაიმართლონ აღშფოთებულ პოლონელების წინაშე... ეს პასუხი პოლონელებს ვერ დაამშვიდებს...

„გეგეკკორ-ჩხეიძე ამბობენ,—პოლონელ კოლოს მიერ შემოტანილი წინადადება—პოლონეთში პოლონელი მსაჯულებიც გაიმწესოს - ჩვენ უარვყავით იმიტომ, რომ ამავე წინადადებით კოლო იუსტიციის სამინისტროს ხარჯ-აღრიცხვასაც იღებდა და ჩვენ კი, მას შემდეგ რაც იუსტიციის მინისტრმა თავის სიტყვაში პოლონელები შეურაცხყო, ალარ შეგვეძლო მისი ხარჯთ-აღრიცხვა მიგვეღო, ამ ხარჯთ-აღრიცხვის უარყოფით გვინდოდა პროტესტი გამოგვეცხადებია მინისტრისათვისო...

ამნაირად გეგეკკორ-ჩხეიძეს თუ დაეუჯერეთ, ისინი პოლონელ ერს იცავდენ, როდესაც პოლონეთში მხოლოდ რუს მოხელეთა გაგზავნის საქმეს ხელი შეუწყეს...

„ჩვენი საქმეც“ წარმ-შეუხერელად იმეორებს ამას და გაბედულად უსაყვედურებს თავის მოწინააღმდეგეებს საქმის გაუგებრობას იქ, სადაც მოწინააღმდეგეები ს.-დემოკრატებს ხალხის ეროვნულ ინტერესების გაუგებრობას აბრალებენ... იქით ედავებიან, ამით საკითხს ჩაფუჩეჩებას ცდილობენ..

სწორედ საქმის ჩაფუჩეჩების სურვილით აიხსნება, რომ „ჩვენი საქმის“ რედაქცია, რომელიც ასე გულ-უხვობს ხოლმე სპარსეთის და ოსმალეთის ამბების გადმოცემაში, ასე ხელმოჭერით არის ამ საკითხზე წარმოიდგინეთ ხსენებული ინციდენტის გარკვევა ერთ ნომერში გაათავა:—თავის დროზეარ შეატყობინა მკითხველს ავსტრიელ ს.-დემ. პროტესტი, ეს პროტესტი დაბეჭდა ხხოლოდ მაშინ, როდესაც რუს „ამხანაგების“ საპასუხო წერილიც ხელთ იგდო. თავისი განმარტება, ავსტრიელების წერილი, ფრაქციის საპასუხო განცხადებაც ერთ ნომერში მოაქცია,—რათ ფ ხშირად ამ საგანზე ლაპარაკით და წერით მართლა არ დავეკვანინთ ზოგიერთებიო, ისევ ერთ ნომერში გავათავოთ საქმე და შემდეგ კრინტს ნუღარ დავძრავთ,—ეგება მკითხველებმა მას ყურადღება არ მიაქციონო...

ყურადღების ღირსი კი არის სწორედ, ყურადღების ღირსია იმიტომ, რომ კარგად ახასიათებს იმას, თუ რას უნდა მოველოდეთ ჩვენებურ და რუს ს.-დემოკრატებისაგან ჩვენც, ქართველებიც, ყველანაკ, სადაც ჩვენ ეროვნულ ინტერესების დაცვაზე მიდგება საქმე...

პურიშკევიჩ-მარკოვს იმიტომ მივემხრეთ, რომ პოლონელებმა იუსტიციის მინისტრს ხარჯთ-აღრიცხვის უარყოფით პროტესტი არ გამოუცხადესო... ეს პროტესტების ენინ ლუპავს საქმეს, სადაც გინდათ და სადაც არა ყველანაკ საპროტესტო საგანს ეძებენ ს.-დემოკრატები და ბავშვებივით ჭგონით, რომ ამ პროტესტ-გამბუტვრით საქმეს გაარიგებენ. პროტესტიც ხომ უცნაური იციან... როგორც ქირვეული და უბერური ბავშვი-რომ დაეკვემა, გაჯავრებულ ბალიაკს ეტაკებ მიწვდება და მას უთაქუნებს მუშტს, — მხოლოდ ხელს იფუკებს, იატაკს ვერაფერს ავნებს, მაგრამ ამით მაინც გულს იკურებს და მშვიდდება, ისე ჩვენი ს. დემოკრატებიც იუსტიციის მინისტრს პროტესტს უცხადებენ, კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებენ და ამ კენჭის ყრით კიდეც ხელს ტაკენენ — აკანონებენ ძალმომრეობას, პურიშკევიჩ-მარკოვთან ერთად ეარყოფენ პოლონეთში პოლონელ მსაჯულების გაგზავნის აუცილებლობას და ძველ წესს სტოვებენ—მსაჯულებათ მხოლოდ ტომით რუს მოხელეების გაგზავნას!..

ს.-დემოკრატები თავს იმართლებენ იმით, რომ პოლონელ კოლოს წინადადებაში მოხსენებული არ იყო ყველა ის ეროვნება, რომელიც პოლონეთის საზღვრებში სცხოვრობს და რომელიც პოლონელებსავით დაჩაგრულია. ეს თავის მართლება ძალა-უნებურად გაგვახსენ ბს ს.-დემოკრატებისაგე მოკმეგულებს საქართველოს ავტონომიის წინაღმდეგ,—ავტონომია ქართველებს მიანიჭებს ეროვნულ თანასწორობას და საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ ყველა სხვა ერებს არავითარ გარანტიას არ ანიჭებსო. რაკი მაგ. ოსს თავისი ავტონომია არ ენიჭება, ამიტომ ქართველებაც ვერ უნდა მიიღოს ეროვნული თანასწორობის უფლებაო, რაკი სომეხი ძველ პირობებში რჩება, ამიტომ ქართველიც დიდიუპოსო, ან ერთიანად უნდა მივიღოთ ყველა ერმა სრული ეროვნული თანასწორობა, ან არც ერთმა და რაკი ერთიანად ეს თანასწორობა ჯერ საფიქრებელიც არ არის, ამიტომ ხელუხლებლად დარჩეს ის ეროვნული ძალმომრეობა, რომელსაც ყველა არა რუსი ერი ვნებს განიცდის და რომელიც ახლა, ავსტრიელ ს.-დემოკრატიების აზრით, დაკანონეს პოლონეთში მაინც პურიშკევიჩმა, გეგეკკორიმ, მარკოვმა ჩხეიძემ და ბობრინსკიმ.

თანდათანობის აუცილებლობა ჩვენებურ ს.-დემოკრატების თავში არ შედის,—ან სულ ერთიანად ან არაფერი, ან დემოკრატიული რესპუბლიკა ან რეგოლუცია, ან უკიდურესი მემარცხენობა ან ჯაშუშობა, ან წითელი რაზმელობა ან ავაზაკობა, ან სრული ბედნიერება ან კბილთა ღრჭენა, ან საერო ეროვნული თანასწორობა, ან ახლანდელ ეროვნულ დაჩაგვრის დაკანონება ..

გეგეკკორის და ჩხეიძის დაახლოვება პურიშკევიჩ—მარკოვის პარტიასთან პოლონელების დაჩაგვრის საქმეში იმდენად მნიშვნელოვანი საგანია, რომ ჩვენებური „პოლიტიკური გაზეთები“ მკითხველ საზოგადოების წინაშე დიდ შეცდომაში ვარდებიან, რაკი ამ შემთხვევით არ სარგებლობენ და არ ცდილობენ ერთხელ და სამუდამოთ გამოარკვინონ ს პოზიცია, რომელიც ყოველ ქარ ველისათვის, —განურჩევლად პოლიტიკურ მიმართულებისა,—აუცილებელი და საყალდებულოა ყოველ ერეული, რაკი სათათბიროში ან სათათბიროს გარეთ რამე ეროვნული საკითხი აღეძვრა და როცა ესა თუ ის ერი, რუსეთში მცხოვრები, ეროვნულად დაჩაგრული და ამ დაჩაგვრის მოსპობის მსურველი, ცდილობს სხვა ერთა და სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების დახმარებით გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა და ოდნავ მაინც შეასუფთაოს ის მძიმე უღელი, რომელსაც ჭქვია ეროვნული დაჩაგრა და რომელიც ხალხის კულტურულ განვითარების შემაფერხებელია.

კ. თუმანიშვილი.

ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲒᲐ.

(ესკიზი.)

უკვე ა ომიავალ მზის პირველ სხივმა მკრთალად შემოანათა დახურულ დარაბებში, როცა თედიაშვილმა საბოლოოდ გადაწყვეტა და მოულოდნელად მოეშვა გულზე, თითქოს ძმიმე ტვირთი მოიშორა. ის თითქოს დამშვიდდა, როგორც ადამიანი ბორტაკდ ვაიღიმა და აუჩქარებლად მოიწმინდა ოფლი, რომელიც გამოვლილი მღელვარებისაგან წურწურით ჩამოდ ოდა პირისახეზე. ერთიღა გრძნობა იყორობდა ამ ჭეუობში მთელ მის არსებას. ეს იყო—გაოცება, რომ აქამომდე არ მოუვიდა მას აზრად ასეთი ეიდკაცური შურისძიება.

მაშ, მორჩა ყველაფერი! სანამ ეს დიდებული ამომავალი მნათობი მიეფარ ა მამა დავითის სერებს, სადაც იგი გუშინ საღღესასწაულო დარბაზობის ნაცვლად მწუხარე და სისხლ ამღვრეული დაეხეტებოდა შურისძიების ფიქრებში გართული,—ის, თედიაშვილი, სამუდამოდ მოისვენებს... ის შეუბრალებლად გადაუხდის ამაგს იმ ეულ ფ ეთ მტარვალს... დაჩქარებულს... მოაშავებს... და რომ შეიძლება ძლიერ რომ გამაწყრომს მტარვალი და თვითონაც არა დარჩეს რა ამ ქვეყნად საყვარელი და სადარდელი, არც „ღულუნა მტრედს“ დატოვებს აქა.

— ერთად, შვილო! ერთად, ჩემო ანგელოზო!— ნიშნმოგებით წარიჩურჩულა თედიაშვილმა და ნაკბენივით წამოიჭრა საქანაო საარძლიდან, რომელშიაც მთელი ღამე უძილოდ გაატარა. წუთს უკან დამშვიდებული, ახლა გიჟივით დარბოდა კოხტად მორთულ კაბინეთში. ძმიმედ ქშნაოდა. ჰაერი არ ყოფნიდა. კედლებს ეხლეობოდა. თითქოს ცდილობდა გაქცეოდა იმ სამარცხვინო გრძნობას, რომელიც სადღაც ღრმად, გულის მივარდნილ კუნჭულში უჩინრად დაიბადა, უცებ გადვეოდა და საშინელ სისწრაფით იზრდებოდა.

— ხა, ხა, ხა! გეშინია განა სტატსკი სოვეტნიკო!?— დაეინვით გადიხარხარა სადღაც შორს ყრუ ხმამ.

— მე?.. მე შემეშინდეს!? მაშ, ფუი ჩემს კაცობას, თუ არ შევასრულო,—უხმოთ გასცა პასუხი თედიაშვილმა ტ ვიღაცაზე თუ რაღაცაზე უზომოდ გაბრაზებულმა ისე მ გრა დაჭკა მუშით საწერ მაგიდას, რომ ვეებერთელა მარმარილოს სამელნედან, თითქოს განზრახ აარჩიესო, ტუნაობით ამოვარდა წითელ მელნიანი შუშა და რამოდენმეჯერ გადაბრუნდა მაგიდა ედ.

— ფუ! ხიზღით გადაადურთხა თედიაშვილმა დანთხეულ წითელ სითხეს დანახვაზე და წამის განმავლობაში თვალ წინ გაურბინა გუშინდელმა ღღემ, აღდგომამ, როცა მან უგზო-უკვლოდ სერებზე ხეტიალის დროს გადაწყვეტა დანთ მოეკლა ცოლი და მისი სისხლით წოლად შეეღება კარმიდამო, სადაც ესოდენ ტანჯვა-წვალება გამოიარა უკანასკნელ წლებში. ის მაშინ დაუყონებლივ სახლში დაბრუნდა, რომ ავსრულებინა თავისი განზრახვა, მაგრამ სწორედ იმ წუთს, როცა დანის აღებას აპირობდა, არჩილი მოულოდნელად გულში ჩაეხეტა დედას და მეტისმეტ სიამოვნებისაგან როგორღაც მომხიბლავ ღრეტუნს მოჰყვა. „შეეშინდება ბავშვსო“—იფიქრა მაშინ თედიაშვილმა და მოუთმენრად უცდიდა, რომ ბავშვი დედას მოშორებოდა. მაგრამ ამღვრეული ტვინი წუთს შემდეგ უკვე სხვა საშუალებას ეძებდა შურის ძიებელად და თედიაშვილი ისევ ქუჩაში გავარდა. ის ცახცახებდა, მირბოდა, ბორძიკობდა და ისევ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მირბოდა. სასოწარკვეთილი გაურბოდა თავის თავს, სისხლის ბნელიან ჭუჭყიანელს, რომელიც მას მთელი დღე ახრობდა.

ახლა თედიაშვილს უზომოდ რცხვენოდა ამ მოგონებისა, მხოლოდ ამ წუთებში იგრძნო მან, თუ რა ველური ი და საშეფამოდ შეუნდობელი იქნებოდა ის შურისძიება, რომელიც მან გუშინ განიზრახა, და თითქოს ამითი აპირობს სამარცხვინო წარსულის მოსპობასაო, ათრთოლებულ ხელებით ანგარიშ მიუცემლად იატაკზედ დაენარცხა ის, რაც პირველად შემთხვევით ხელში მოხვდა. ეს იყო ცოლის დიდი სურათი, ძვირფას ჩარჩოში ჩასმული.

— გაგიწყრეს ღერთი, შე მართლა ქართველო! რომ მთლად გაგიჟდი!—ბეღლინად დაიბუზღუნა რუსულად ცოლმა საძინო ოთახში, კიდევ რაღაცა ჩაიბუტბუტა და მალე ისევ ხვრინვა ამოუშვა.

— ოჰ, წყეულო! გაგრძელებით და კბილების კრაჭუნით თითქოს უხილავ არსებას შეუკურთხა თედიაშვილმა რამოდენიმე ხნის სიჩუმის და გარინდულად დუმის შემდეგ, ფეხებით მისრის-მოსრისა ვარაყიანი სურათი, ორი მსხვილი წვეთი ცრემლი ჩამოეკიდა ქუთუთოებზედ და თითქოს თავისდა უნებურად მიუჯდა მაგიდას მშრალ ბოლოდან.

დაჯდა და ვერ მოიგონა, რა უნდოდა. წიგნი გადაშალა. „არა! ეს არ იყო“. პაპიროსს მოუკიდა. „არა არც ეს მინდოდა, თუმცა ესეც კარგია“. ის სდუმდა. ამღვრეულ თვალებით უაზროდ ათვალიერებდა კაბინეთს და განსაკუთრებით საწერ მაგიდას. თითქოს რაღაცას ეძებდა და ვერ ეპოვნა. სასადილო ოთახში გუგუნით ხუთჯერ დარეკ კედლის საათმა. „ჰო, ჰო... დრო გადის... წერილები“—მოაგონდა თედიაშვილს, თითქოს ადრევე მოფიქრებუ ი ჰქონდა ამის შესახებ, და კალამს სტაცა ხელი. სულ ცოტა ხანში უკვე მზად იყო რამოდენიმე წერილი ქალებს, პოეტრიას, ნათესავებს და სხვა პირების სახელზე. შედარებით მეტი დ ო მოანდომა დ, როგორც სახეზედ აშკარად ეტყობოდა, სხვებზე უფრო სიამოვნებით სწერდა ძმასა. ი თვითონ წერილიც, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ გამოძიების საქმეში ჩაეკერეს.

„ძმაო ავთანდილ! რასაც ჩემ შესახებ მალე გაიგებ, ნუ გაგიკვირდება. რა ჩემი ბრალია, რომ ავრე ცხოვრება არ შემიძლია!.. მას შემდეგ რაც გაბატონებულმა შავბნელმა ძალებმა იერიში მოიტანეს განაპირა ქვეყნების წვრილმან ერებზე, ჩემი ცხოვრება ოავიდან ბოლომდინ ნამდვილი ჯოჯოხეთია. ჩემი მარია კარპოვნა ალარ იცნობება. ახლა კი მიჯდება ჭკუაში შენი რჩევა, „აა ა შეუდგ მწყერი ხესაო“, მაგრამ ვვიანია. ჩემი ცოლი დარწმუნებუ ია, რომ თუ სხვა არაფერი შეუძლია თავის ტომისთვის, მე და ჩემი შვილი მაინც უნდა გადაგვგვაროს და... მტარვალი გახდა, ისეთი მტარვალი, რომლის სისასტიკე ბარბაროსთა მბრძანებელსაც კი გაუკვირდება. ქართველს ჩემს სახლში ვერ შემოუბედნია ღა ვერც მე ქართველ ოჯახში. სიყრმის ამხანაგებიკი, ამბროსიშვილი და ეპიპანე, კრთომით მაძლევენ სალამს, ცოლმა ან მის მოამბეებმა არ გაიგონო. სამაგიეროდ იძულებული ვარ ხშირად მოვიწვიო შინა დუკანინი და ემელიანოვი და ვეახლო სახლში ისეთ ღამურებს, როგორიც არის მაგალითად კოლესნიკოვი, რომელიც, როგორც შენც იცი, ქართლელ გლეხის შვილია და ხუთირიდე წლის წინეთ ბობრანალშვილი იყო. ჩემს მტარვალს ისიც კი ეწოთირება, რომ ქართველის ცოლია და ორი წელიწადია, რაც ფეფლოროვად იწერება... ყველაფერს ჯანი გავარდნია, მაგრამ ეს კი ვერ მომნელებია, რომ გულიდან წამგლიჯეს ის, ვიზედაც პირჯვარს ვიწერდი,—შვილი, ჩემი ტკბილი არჩილი. ერთხელ უჩუმრად ორი სიტყვა ვასწავლე ქართულად,—„აიღე“ და „დადევი“, უცებ საიდანაც ჩემი სიდედრი ჩამომადგა თავზე, ერთი დაიწიოლა, შემოვარდა ჩემი ცოლიც და ისეთი დღე დამაყენეს, რომ ნეტავ მეც არ მეოდნოდა ქართული. არჩილის სახელი ჩვენ-ნენ წმინდანების სიაში არ არისო,—ბრძანეს, და ახალ წლიდან ჩემს საყვარელ არჩილს „ალბიას ეძახიან... მაგრამ იმან, რაც გუშინ მოხდა, სამალოდ დამარწმუნა, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელ ა. გუშინ არჩილი ოთხი წლისა გახდა. თან ალდგომაც იყო. ატყდენ, ბავშვი უნდა ვაზიარებინოთო. მე ეუთხარი: კარგი. ინჩისხატში ან ქვაშვეთში ჩაიყვანეთ და აზიარებინეთ-მეთქი. იყვარა და იკივლა ჩემმა ცოლმა, მაშ, რალაა მინდა თავი ცოცხალი, რომ ჩემი არხიპა ქართულ საყდარში ვაზიარებინო, ქართული წირვა მოვასმენინოთ და ათასი სხვა რაშე. ამყვა ჩემი სიდედრიც, აყეფდა სიდედრის დაც და ისეთი ჯოჯოხეთი გამიჩინეს გუშინ სახლში, რომ ველარ შევძელი და მთელი დღე ქუჩებში დავიხეტტბოდი. ხშირად მომდის ფიქრად, რომ ჩემი ცოლიც მართალია და მეც. იმას თავისი ტომი უყვარს და მე—ჩემი. და ვინ ძვინ. მაგრამ ამაოდ. ძალა მის მხარეზეა. შვილი და ოჯახი ბის ხელშია. რა ვქნა!? გავეყარო? ბოცხვენია ჩემის ჯიშარისა. მოვკლა? არ მეშინია, რადგანაც კატორღა სჯობია ასეთ სიცოცხლეს, მაგრამ ისევ მრცხვენია, რომ ჩემს ბაშვის კაცის მკვლელის შვილს დაუსახელებ. ასე ცხოვრება კი არ და ალარ შეშძლია. და... გადავწყვიტე... სასტიკად ვიქრ შური... მაგრამ სანამ ამ წერილს მიიღებ, ალბად დღესვე დეპეშით გაგაგებინებენ, რაც გადავწყვიტე... მეჯავრება კოლესნიკოვები, სჯობია არ ვიყო... არ იყოს. დეე, დაინგრას ყველაფერი და ნურც ტარავალი გაიხარეს... გწერ შენი უბედური ძმა გიგო“.

გულგრილად მიაქროლებდა მატარებელი გიგოს წერილს ავთანდილისკენ, როცა გიგომ ბევრ ხვეწნის შემდეგ ძლივ დაიყოლია ცოლი, რომ ცოტახანს მიეცა მისთვის ბავშვი გასასეირნებლად, და ბავშვიანად, საჩქაროდ ეტლით გაექანა სადღაც

„ორშაბათს ერთი გასაოცარი თავისებურებელობა მოხდა ქალაქში. შვადღის პირველი სათი ექნებოდა, როცა ვერის ხიდზედ ეტლით გამოჩნდა სტატსკი სოვეტნიკი გიორგი ედიაშვილი თავის პირველი. შუა ხიდ ედ ჩამოხტა ეტლიდან, გაუსწორდა მეეტლეს, უცებ ბავშვიანად გაექანა ხიდის მოაჯირისკენ და სანამ ვაოკეებულ დამსწრენი შეჩერებას მოასწრობდენ, ბავშვიანად გადახტა მტკვარში. წყალდიდობისაგან ვკვამები ჯერაც ვერ უბოვნიათ. მიზეზი თავის და შვილის დახრჩობისა არ იკარ. ზოგნი ამბობენ, ვითომ განსვენებულმა გადავარდნის წინ გულში ჩაიკრა ბავშვი, „შური ვიძიოთ, შვილო!“ ალერსით წაჩურჩულა და ისე დამშვიდებული გადავშვა მორეკვში შვილიანად, რომ თითქოს არაფერიაო. განსვენებულს კარგად იცნობდა საზოგადოება, როგორც პატიოსან ჩინოსანს, უწყინარ ქმარს და თავდავიწყებით მოსიყვარულე მამას...“

ასე იყო აწერილი თედიაშვილის უკანასკნელი წუთები დღესასწაულებისაგმო დაგვიანებულ გაზეთის მახლობელ ნომერში. გამოძიებამ თედიაშვილი შეშლილად აღიარა.

ახელი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲨᲐᲚᲘ

—

ალსავსე იყო კაცით და ქალით ცირკის რიგები, ახლო და შორი, და ასპარეზზე წითელი შალით ხარს აჯარებდა ტორეადორი; კისერსა ბრაზით იხრიდა ხარი, ყუდს გაეშმაგდა, გამოხტებოდა, შუბლ-მაგარი და შეუნგბარი რქებით წითელ შალს ეტაკებოდა.

—

ეს შედარება, როგორც მართალი, არა მგონია საკუთქნებენ:
ჩემი ლექსი წითელი შალი
და ხარი—ჩემი კრიტიკანები!

გ. გვაზავა

1905—1907 წ.

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲙᲐᲠᲜᲐ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲡᲨᲘ

(გაგრძელება)

13 მარტი. სოფ. ენოლეკვში შეიყარა დიდძალი ხალხი ოქონისა, ატოცისა და დირბის საზოგადოებებისა. არა ჩვეულებრივი სანახაობეა, ერთიან შავათაა მოფეფილი გზები, ყველა მხრიდან ხალხი მიეშურება ენოლეკვისკენ.

ცივი ქვენა ქარი ჰქრის, მზიანი დღეა. ხალხში ერთმანეთს ეგებებიან და შესძახიან:

— ერთობას გაუმარჯოსო!

კომისიის მისვლას დიდხანს ელოდენ, არ მოვიდენ, ხალხი უფრო აღელდა, გადასწყვეტილს წასვლა იქ, სადაც კომისია იქნებოდა. ზოგი მიდის, ზოგი უკან

რჩება, ზოგიც იძახის:—რას დაგვთრევენ კუდს ხარებივითო, ერთი ერთმანეთს ეჭიდებიან, უნდა წახვიდეო, სეკმენ ერთმანეთს ჯოხებით და თან ეროვნებიან ხალ. გ-მისკენ, ზოგი ვე „ბანდა“ ალება, ზოგიც-ხვეტებში, გარბიან უგზო უკალოდ მინდორში დასამალავად, თან ბიზე ენ მოსაბრუნებლად, ერთი ერიმული და ვაი უშველებელი ისმის. ბოლოს ხალხს მოეფარეს ერთად, აფრიალეს დროშები და სიმღერით გასწიეს.

ფაცაში დაივლეს მოქალაქეები, შეაჩერეს ეს ზღვა ხალხი და გამოუცხადეს:

— ხვალ ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაზედ შეიყარენთ, ეხლა კი სახლში დაბრუნდით, კომისია ვაყალებმა აქეთ აღარ გამოუშვეს და-გიმში ტყუილათ წახვალთ. ამასთანავე „ბოლ დებთ, ვისაც რა იარაღი გქონდეთ ხვალ თან მოიტანეთ!

ხალხმა იგრიალა:

— გაუმარჯოს ერთობას!

ხალხი ნელნელა იშალა.

ვაყალებმა კომისია გიმამდის ქვეითათ გაისტუმრეს, ჩასაჯდომიც არ დაუნეს.

კომისია თბილისში დაბრუნდა, თავისი დინებულება ვერ შესრულა; ამ კომისიამ ხალხი უფრო აიღელვა.

ოქონის მამასახლისს ჯაჭვი აჰყარეს.

14 მარტი. სოფ. ატოცში შეიარაღებული ხალხი თავა იყრის, კაეკანი თოფებიც კი აუკიდნიათ. სურამს აქეთ დგანის ხეობის მხრიდან ყველა ატოცში ეშურება. ქვეიდან და ზემოდან დროშებით და ზურნა-დაფებით, ამასთანავე თოფის სროლით ეგებებოდენ ერთმანერთს.

დროშებიც ერთმანეთს უამბორეს, ზედ დიდის ასოებით ეწერა: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვით-მპყრობელობავ“.

აგიტატორებმა დაიწყეს ქადაგება, ხალხი სმენად გადაიქცა: დაწვა, კაცის კვლა, ცარცა-ბლეჯა შემადაგებმა დაგმეს, როდესაც თვით-მპყრობელობას შეეხნენ, ხალხს „ეუსნენ, რას ნიშნავდა ეს სიტყვა. ხალხმა იგრიალა:

— ძირს!

ამაზედ კი ოსები არ თანაუგრძნობდენ.

თავ.-აზნაურობა შიშში იყო, ფიქრობდა:

—„ვაი თუ, ღმერთი გაგვიწყრეს, ჩამოგვიარაზ და ამოგვწყვიტონ? რაღა გვეშველება!“ ზოგიერთს მთვანს კაცი ჰყავდა გაგზავნილი ატოცში ამბის გასაგებად, ვინაცობაა თავ.-აზნაურობის ამოწყვეტას გადასწყვეტენ. უნდა წინდაწინვე ეცნობებინათ.

ამ მოლოდინში არიან თ.-აზნაურნი, სამხრობისას ხალხი დაიშალა, ყველამ თავისუფალათ ამოისუნთქა, რომ შვიდ-ბით ჩაიარა დღეეანდელმა დღემ.

დაღამებისას, ასე რვა საათი იქნებოდა, რომ 12 შეიარაღებული კაცი ბერდნენთი ხელში თ.-აზნ. ოჯახები დაიარეს, ვისაც რა იარაღი ჰქონდათ, ართმევდენ და თან ეუბნებოდენ:

— ჯარი, ყაზახები არ მოითხოვოთ!

ღამის ორი საათი იყო, ოქონის სოზოგადოების კანცელარიის ქალაქები გამოიტანეს გარეთ და აიპრიალეს.

—

16 მარტი. თ.-აზნაურნი დიდ საგონებელში ჩავარდენ, ჯ-ს სახლში მოიყარეს თავი თავად-აზნაურობამ, ს. ატოციდან გამოიწვიეს ასის თავი ვასო როსტომოვი და სანდრო ფილიშვილი მოსალაპარაკებლად.

სანდრო ფილიშვილი ტომით ოსია, თ-დ ფ—თ ტყის ყარაულად იყო, დღეს კი იგი თ.-აზნ. თითის ქნევით და ბრძანების კილოთი ელაპარაკება:

— თქვენს მოჯამაგირეებს, ვისაც ძლევდით ხეთ თუმანს, ათი თუმანი უნდა მისცეთ, ვისაც ათი თუმანი ჯამაგირი ჰქონდა, მას ოცი თუმანი უნდა გაუხადოთ, თუ ასე არ მოიქეცეთ, მოჯამაგირეებს არავის დაგიყენებთ!

თ.-აზნაურთ ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოეცალათ, პასუხის მიცემა ვერავინ მოახერხა. ზოგი მთვანნი უყვავეს სანდრო ფილიშვილს, ვინც უფრო მასთან დაახლოებულია.

ვასო როსტომოვი ურჩევდა თავად-აზნ. შეეფთებას გლეხებთან და ამასთა ავე ანუგეშებდა—შინი ნურავისი ნუ გაქვთო.

(შემდეგი იქნება)

Legatus

ახალი ამბები და დეკეშები

ქ. მესხის ბენეფისი. ოთხშაბათს, 1 აპრილს ქართულმა დრამატულმა დასმა ნიკიფორ აროტარტის, ქ. შესხის საბენეფისოთ წარმოადგინა შექსპირის ხუთ მოქმედებიანი კომედია „პირველი ცოლის მორჯულება“. წარმოდგენამ შვენიერათ ჩაიარა, საუკეთესოდ იყო თვითმობეზეფისი ბ. ქ. მესხი (პეტერბურგი), რომელიც მრავალჯერ ხანგრძლივი ტაშისცემით იქმნა დაჯილდოვებული. შვენიერი იყო მისი პარტნერიც ქ-ნი კარგარეთელი (კატარინა), მთელი სეზონის განმავლობაში ის თითქმის პირველათ ვნახეთ ასე მკვირცხლათ და მოხდენილათ მოთამაშე, როგორც ამ სალამოს. კარგი იყო ბ-ნი ბედეანოვი (პეტერბურგის მსახური). დანარჩენებიც ხელს უწყობდენ საერთო ანსამბლს, თეატრი თითქმის სავსე იყო ხალხით. რომელიც ძლიერ ნასიამოვნებიც დაიშალა.

ბ. ვ. აბაშიძის ბენეფისი. მომავალ ოთხშაბათს, 8 აპრილს ქართულ დრამატიულ დასის მიერ ვ. აბაშიძის ხუთნეფისოთ წარმოდგენილი იქნება: მოლიერის სამ მოქმედებიანი კომედია „შერცხვენილი ქმარი“ და თითო მოქმედებიანი ოპერეტკები: „შეჯლის ოტალიელებით“ და „ქორწილის წინ“. იმედია სეზოგადოება არ დაიკარგებს მობენეფისის ღვაწლს.

ბ. სახალხო წარმოდგენა. შაბათს, 4 აპრილს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის მიერ, გოგოლის ასის წლის იუბილეის აღსანიშნავათ წარმოდგენილი იქმნა იუბილიარის ხუთმოქმედებიანი კომედია „რევიზორი“. თეატრი ხალხით გაიკედა. უადგილობის გამო ბევრი დაბრუნდა უკან. წარმოდგენამ საერთოთ კარგათ ჩაიარა. განსაკუთრებით ირჩენდენ: ი. ზურაბიშვილი (გოროდნიჩი) რომელსაც ხანგრძლივი ტაშის ცემით ეჯილდოვებდენ, შათირიშვილი (ხლესტაკოვი), ქ-ნნი: გოგოლაშვილი (გოროდნიჩის ქალი) და ჩერკეზიშვილისა (გოროდნიჩის ცოლი), კარგები იყვენ ბ-ნნი გოცირიძე (ოსიპი), და რომანიშვილი და ადამიძე (ბობჩინსკი და დობჩინსკი) დანარჩენებიც შეძლების და გვარათ ხელს უწყობდენ წარმოდგენას.

✦ სათავად-აზნაურო თეატრი. გუშინ 5 აპრილს, ქ-ნ იავორსკაიამ თავისი დაესით ამ სეზონში უკანასკნელი წარმოდგენა გამართა. როგორც ამბობენ საზოფხულო თეატრის იჯარაზე ქ. **იავორსკაიას** უარი განუცხადებია სახამთრო თეატრი მეყოფოო,—წელიწადში 2000 მანეთს მოგცემთ სახამთრო თეატრში და ქართულ დასს სეზონის დროს თვეში რვაჯერ მუქთად დავუთმობ თეატრს. როგორც გაიმოგვეცეს, ეს პირობა ხელ საყოფლათ უცვნიათ თავად-აზნაურობისათვის. ამნაირად 7 თვის განმავლობაში ქართული დასი კვირაში ორჯერ წარმოდგენისათვის იხდის 8000 მანეთს, ქ. იავორსკაია კი დანარჩენ დროს სარგებლობს თვეში წლის განმავლობაში 2000 მანეთად. საზაფხეო თეატრს სხვა მეტრები გამოსჩენია, კაფე-შანტანს აწყობენ თურმე, ბელვიუს სამაგიროს. ოღონდ მხიარულება იყოს და სახლის შემოსავალი რა საჭიროა!

✦ მამულოვის მოკვლა. თელავიდან დეპეშით იტყობინებენ, რომ შაბათს, 4 აპრილს, საღამოს, მოჰკლეს ტფილისში კარგათ ცნობილი მეღვინე იოსებ მინაის ძე ბამულოვი.

✦ ვ. გვაზავას ლექცია. გუშინ, 5 აპრილს, ვეკლუბში გიორგი გვაზავამ ზუბალაშვილების სახალხო სახლში წაიკითხა საჯარო ლექცია კანონის შესახებ. ლექციი მშვენივრად განმარტა კანონის მნიშვნელობა და ყოველი კანონის შემოშავების და გამოცემის წესი. საზოგადოება ამ ლექციით ძალიან ნასიამოვნები ი რჩა

✦ 11 მარტს, მონთობანში (საფრანგეთში) ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პატრი ალფონსი ხითაროვი.

მ ზ ე

საზოგადო ნიშნები

მოკლე სახელი აქვს და დიდი მნიშვნელობა. უმისოდ ცხოვრება არ იქნებოდა. წამსვე ყოველივე დაიზროდა, გაიფიზებოდა. არა თუ გაშშდებოდა, გაიყინებოდა, ვინ იცის, მთელი სამყარო რად იქცეოდა, მტვრად, თუ რაიმე უცნობ ნივთიერების გუნდად.

მზე სიცოცხლის წყაროა. იგი ძლიერებაა: აჩენს, აღორძინებს, ჰკლავს; ამწვანებს, აბიბინებს, აყვითლებს.

მზე სამყაროს სასწორია. ვით სასწორის ახრა-დახრით ჩნდება სისწორე, ისე მზის ასვლა-დასვლით მყარდება მსოფლიოს შეურყეველი მეჭიდველობა.

მზე მართლმსაჯული მომცემ ა: „ვარდთა და ნეხეთ“ სწორად მიეფინების.

ეგი აჩენს წელიწადს და მასში სამს წვრილ წელიწადს:

გა-ზა-ფხულს *) მწვანილოვანს (თებერვალი—მაისი),

ზა-ფხულს ოქროფერ ოვანს (ივნისი—სექტემბერი),

ზა-მთარს **) თოვლიანს (ოქტომბერი—იანვარი).

ზღვიდან ამოაქვს წყალი ორთქლის სახით, გადააქვს ყოველმხივ, აწვიმებს, რწყავს არემარეს, ახარებს ქვეყანასს,

გაშორებულს ვნატრობთ, რადგან გვყინავს, მოახლოვებულს ვაქებთ, ვადიდებთ, რადგან გვათბობს.

იგი ქვეყნის მპყრობელია.

ხილული ღმერთია.

მი'ი საყდარი იყო მცხე-ას, არმაზზე.

აქ სუფევდა მზე-ღმერთის ქვეყნიერი ნაში, მეომრის მსგავსი, ჯაბუკი, მუზარადოსან-ჩაფხუტოსანი, სამხრე-სამკლავებიანი, ამოდებულ ხელით ხელში, ბრწყინვალე ბიერატის ფეხებიანი.

ოქროსებრ ელვარებდა მთელი მისი არსება. გამომეტყველება ჰქონდა ალერსიანი.

აკადამა მისი ალმართულიყო არმაზის წყლის ღრმა ღელის შუა კვერცხივით აბურცებულ გორაკის მწვერვალზე.

აქედან ჰპატრონობდა იგი მთელს საქართველოს. ვიი მის ტეტრს, რომელიც გაბედადვა ქართველის დაჩაგვრას. მიუსვდა მხედრობას და შემოსრავდა.

ხუმრობა საქმე არ იყო მისი აყოლა: აკი ამ აყოლისთვის ქალდეველთ ღმერთ ითრუშნს თავზე კაკალი დამტვრია, „მასზე ზღვა მოაქცია“.

ძლიერი იყო არმაზი (ზეე), ვიდრე ღმერთობდა.

პირნათლად უძღვებოდა თავისს მოვალეობას და სახელოვანად ახელმწიფებდა თავისს საქართველოს.

მეფობდა ერი თავისუფლად, ტანში მაღლა ალმართული და არა წახრილი, თავჩაქინდრული.

წადრეკა, თავჩაქინდრულობა მონა ერის წესია.

მეფეობი ერი ვარსკვლავებს და მზეს ეთამაშება და ეალერსება.

დაბადება და **აღზდა**

იმ დროს ცა ისე დაბალი იყო, რომ დედამიწაზე მდგომი კაცი ხელით სწვდებოდა ღმერთი მიმმართოდა ამ სიერცეში, ვით სფერო და უფლიდა ივისს ქვეშეფრდომ ერს.

მაშინდელ თანაბრობას ენა ძლიერ გამოსთქვამს.

არსად სჩანდა დარაჯი, არსად მოურავი.

არ იყო თავადი, აზნაური, გლეხი.

იყო მხოლოდ კაცი ორის განყოფილებით: მამაკაცობით და დედაკაცობით.

ყველას თანაბარი აზნაურობა ჰქონდა.

ყველგან და ყოველფერში სუფევდა განუყრელი თანასწორობა: ეამაში, ჩაცმაში, სახლების აგება-მოწყობაში. ერთნაირი ჰყვანდათ საქონელი, ერთი და იგივე წეს წყობილება და, წარმოდგენენ, კანის ფერითაც ერთნაირნი იყვნენ: ცისფერნი.

მაშინ, საზოგადოდ, ორი ფერის მეტი სხვა ფერადები კაცმა არ იცოდა: დაბალ დაიხედავდა, მიწისფერს ხედავდა, მაღლა აიხედავდა, ცისფერს ამჩნევდა.

რაღა თქმა უნდა, არ იყო მაშინ არც მდიდარი, არც გლახაკი, არც მთხოვი, არც გამკითხავი.

უმთავრეს სახლდან იყო პური, რომელსაც მაღლი ჰქონდა.

უგემურად მიღონიერდებდა ცხოვრება გულგამაწყალებელ ერთფერობაში.

ამ ერთფერ-ერთგვარობამ თანდათან მოაწყინა ხალხი. უფრო გაგებულებმა იწყეს ფრტენვა, მაგრამ ჩუმი: ღმერთი ახლოს იყო და ეშინოდათ—გაიგებსო. მაგრამ უკმაყოფილება ნელნელი მოედო მთელს კაცობრიობას: ერთფერობამ გული მოგვიწყალა, ერთნაირობამ ჭკუა გამოგვიფიტა, გამოგვაყრუაო, ცა ჩვენ თავზედ გვასარქვია, თავისუფლად ვერ ამოგვისუნთქიაო, ჩვენს თავისუფალ სულს უყვარს მრავალფერობა, ნარნარობა და არა კარჩაკეტილობა, შეზღუდვა, შებოჭვა, შეხუთვაო. საჭიროა გავიწიოთ გამოვწიოთო.

ასრე უბნობდენ საიდუმლოდ და არ იყო მათში გაბედადი, ხალხის ვარამი ღვთისთვის გადაეცა.

ცხოვრობდა მას ერმა მ-ათობი, რომელსაც ორი ცოლი ჰყვანდა და ამ ქალებისაგან ორა შვილი, თითოსგან თითო. ესენიც მნათობნი.

წარსდგენ ეს დედები ღვთის წინაშე და მოახსენეს:

— ქვეყანას აკლია მზე და მთავარეგაჩინე. მათი გაჩენით დამშვენდება არე, ქვეყანას მრავალფერობა მიეცემა, კაცი გაიხარების დამშვიდდება, რადგან ნარნარობა სიხარულია გულგამყოლებელი, ერთფერობა კი მწუხარებაა გულჩა-ათხრობელი.

ღმერმა არ ინება ნათხოვნის ასრულება.

ერთი დედათაგანი დაეკადა—აგასარეკინებენო და ლავაშით უშმინდურება მოხოცა თავისს შვილს, მით წაბილწა ღვთის მადლი ური.

ღმერთი განრისხდა და უთხრა იმ ორ ქალს:

— თქვენს შვილებში რ-მელიც დღეთ ადრე ადგება, ის მზედ იყოსო. და თვითონ კი კაცებთან დაბლა დგომა აღარ ინება, აჰკრა თავი ცას, მაღლა-მაღლა წაიღო და წავიდა.

ერის ლტაცებას საზღვარი აღარა ჰქონდა.

მხიარული გუგუნი გაისმა, ყველა იმახოდა: გაუმარჯოს ჩვენთვის თავისუფლების მომნიკებელ დედებსო, შვენის მომცემლებსო.

თვითონ ეს დედები კი სწუხდენ მისთვის, რომ ორივეს სურდა შვილი მზედ ჰყოლოდა: მზეობა სანატრელი იყო.

იმავე დღეს დედებმა ღმერთის პირობა შეატყობინეს შვილებს. ცალცალკე არიგებდნენ და ეუბნებოდნენ: „ეცადე შვილო, არ შემარცხვინო, მზეობა არ დაკარგო, ხვალ ადრე ადექიო“.

დაიქადნენ, გაიბაასნენ.

ერთი ადრე პირსაღამისვე დაწვა და ღრმა ძილს მისცა თავი.

მეორემ ღლეგინში ჭინჭარი და ბირკი ჩაიყარა და ჩაწვა. ფიქრობდა: ჭინჭრისა და ბირკის სუსხი ძილს გამიფრთხობს და ჩემს მეტოქეს ვიჯობებო. მართლაც დღახანს ძილი არ მიეკარა, სულ ბრუნავდა, ბორგავდა, კენესოდა სიმწვავისაგან. მაგრამ ბოლოს ბუნებამ თავისი მოითხოვა: ღილახანს თვალი მოირულა და ტკბილად მიიძინა.

ყვინწილებისა და ტოროლას გალობა ყოველის დრო იყო, რომ პირველს გამოეღვიძა, ადგა გმირი, ხელპირი დაიბანა, ჩაიცვა ბრწყინვალე საცმელი, გადიცო სამხრეები, საწვივე, საგულე, დაიხურა ელვარე ჩაფ-უტი და წავიდა მაღლა ქვეყნის გასაგვიძგლლად.

მთელი მისი არსება ცეცხლის ბურთად იქცა. ყოველმხრივ გაფენტა განმაცხოველებელი სხივები, პირველი კი შემოშუქა მტხეთა-არმაზს.

ყოველი სული უკვე ფეხზე იდგა, რომ ჭინჭარ-ბირკზე მწოლარესაც გაღვიძა და მოეწარება იწყო. მისი დედა მაშინ პურს აცობდა. გაუჯავრდა მცოდარეს და ცომიანი ხელი ჩასცხო. იგი მთვარედ იქცა და წავიდა ღამის გასანათებლად, მაგრამ პირისახეზედ შერჩა ცომიანი ხელის ლაქები.

(დასასრული იქნება).

მ. ჯანაშვილი

კობა და გუგულო.

(მოთხრობა პროპაგანდისტთა ცხოვრებიდან)

IX

(დასასრული)

იმ სოფელში, სადაც გუგულოს სკოლა იყო, ეგზეკუცია ჩაიყენეს, ასე რომ კობას და გუგულოს ერთმანეთის ნახვა აღარ შეეძლოთ. რაზმის უფროსსა სხვა მოახლენელებათა შორის კობას გაცუმაც მოთხოვა ხალხს. მე გავიგეო, სთქვა მან, რომ თქვენს სოფელში ერთი კაცი მალავს მასო. ამ სიტყვების გაგონებაზე გუგულოს თავს ზარი დაეცა. „ალბათ შეუტყვიათ, რომ ის ჩემთან ცხოვრობსო“ და მუხლები მოეკეცა, თვალები დაუბნელდა. თან დასძინა რაზმის უფროსმა: უკეთესია იმ კაცისთვის თვითონ დაიჭიროს ის ავაზაკი კობა უნარაძე, თორემ ციმბირში ამოვაკვრევინებ თავსაო. ამ სიტყვებმა სრულებით მოუთავეს გუგულოს გული. მას ისიც ეეოფოდა, რომ ასეთ ცეცხლში იყო და მისი ბედი თმაზე ეკიდა და ეს ამბავიც ზედ დაერთო.

— რა ვქნა, რა მომეცეს! ჩემი ღვთიება, ჩემი კერპი მელოუბენის, სამოდამოთ მეკარგება! აწი მე მას ვერ ვნახავ, საუკუნოთ მშორდება... ღმერთო, მე არ ვჩივი ჩემს თავს, ოღონდ ის ნუ დაიტანჯება მტრის ხელით, ოღონდ ის ნუ ჩაეკარდება ხელში სისხლის მსმელებს! ჩემო ოქრო, ჩემო ძვირფასო! ვინ, ვინ ურჯულოა, რომ მის თავს მაშორებს... არა, ამას ვერავინ შესძლებს, ვერა! კობას თუ თვითონ არ უნდა ჩემი მოშორება, მას ვერავინ დამაცილებს, ვერა! ჩვენ ყოველგვარ დაბრკოლებას მოვასპობთ და მაინც ერთად ვიქნებით, მაინც მე მისთვის თავს მოვიკლავ, ოღონდ ის იყოს ბედნიერი, ჩემი სიყვარული გულში ჰქონდეს და მის სანაცვლოთ წავალ, მისთვის მოვკვდები...

— რათ არის ქვეყანაზე ასეთი უსამართლობა? რა ჩაიდინა ჩემმა კობამ ისეთი, რომ ასე გიამეტეს და ნადირივით დაზდევენ, ვის რა წაუდენია? განა ის ავაზაკია, მკარცველია, საზოგადოების, მშრომელების შემაწუხებელია? განა წაართვა მან ვინმეს რამე? ის არ იყო, რომ მუდამ გაჭირებულებს ესარჩლებოდა და მათთვის თავს დებდა? ის არ იყო, რომ საერთო ბედნიერებისათვის იბრძოდა? და მერმე ბედნიერების ძებნა კაცს დანაშაულათ უნდა ჩაეთვალოს? ეს რა უსამართლობაა?..

— ის უანგაროთ შრომობდა... მას ისეთი მდგომარეობა ჰქონდა, რომ ადვილათ შეეძლო სიმდიდრის მოპოვება, მარა ის არ შედგომ ა ზოგიერთებივით ქვეყნ ერძნობების დაკმაყოფილებას... ის უანგაროთ იღვწოდა. დღეს კი მშიერ-მწყურვალია ნახეკარჯერ, ტანს არ აცვია და ფეხს... ჩემი ჯამაგიროდან უკანასკნელ გროშსაც მას ვახარჯავ... ღმერთო, ნუ თუ ასეთ სპეტაკ ადამიანის უმაყოფილო უნდა იყოს ვინმე და ეგრე ავაზაკურათ ეპყრობოდენ მას?.. ეს რა უსამართლობაა!..

ასე ფიქრობდა თვალ-ცრემლიანი გუგულო, სოფელში კი ჯარები მძვინვარებდენ...

კობა და მისი ამხანაგები ამ დროს სულ სხვა სოფელში იყენენ და იქიდან ხელმძღვანელობდენ ეგზეკუციის სუსხ ქვეშ მყოფ გლეხებს. გარდა ამისა რით არ კლავდენ დროს: ბანქოობდენ, ლაზღანდარობდენ, არაზიყობდენ და სხვა. ისე გაეფუქებინა ზოგიერთებს წერვები და მოთბინება ამ ცხოვრების ორომტრიალს, რომ ვერაფერ მეცნიერულ წიგნს ისინი ვერ წაიკითხავდენ გულ დასმით. გაზეთის კითხვა კი ყველასთვის თითქმის აუცილებელ რამეს შეადგენდა. ისინი ისე მიეჩვიენენ ასეთ ცხოვრებას, რომ ვერც კი ამჩნევდენ მის ცუდ მხარეებს და ხარბათ ეტანებოდენ ყველაფერ იმას, რასაც კი შეეძლო მათი გართობა და რაც დროს, ამ აუტანელ აწმყოს, დაავიწყებდა დროებით მაინც. მართალია მუშობდენ სოფლებში, შეერწყნდათ შეგნება, ხსნიდენ თანამედროვე საკითხებს, მარა ერთობ უგულოთ და ზანტათ, ვინაიდან აწმყო თითქმის ყოველგვარ იეფლს უკარგავდა ბევრ მათგანს. უწინ, ოთხი-ხუთის წლის წინათ, როცა ასეთი მუშაობა პირველი ხილი იყო, არავინ იცნობდა, ყველა განურჩევლათ წოდებისა და მდგომარეობისა აქეთ ეტანებოდა, იხვეწებოდა მასწავლეთ რამე, გამაგებინეთ რაშია საქმეო. მარა დღეს კი რაკი დარწმუნდა ეს ქრელი ბრბო, რომ ახალ ქადაგებას იარაღით ხელში უნდა დაცვა, საქმეს უფრო ჩაფიქრებით და ნდეკათ წონის, ბავშვურ გატაცებებს როდი ეძლევა, ყოველ ნაბიჯს დიდი ხნის მოფიქრების შემდეგ დგამს. სწორეთ ეს უკლავსთ გულს კობას ამხანაგებს, სწორეთ ასეთი კუს ნაბიჯებია, რომ ზხამავს მათ, როდესაც მოიგონებენ იმ სანეტარო წარსულს, როცა ელვასებრ ვრცელდებოდა მათი აზრები...

X

გულ მ ვდარი გუგულო ვახშმის ხანს ჩვეულებრივ ბუხართან იჯდა და ტკბილათ ოცნებობდა. აგონდებოდა ის ნეტარი დრო, როცა კობამ პირველათ სიყვარული გამოუცხადა, ერთგულობა შეჰფიცა, აგონდებოდა მასთან ნეტარება, თავდავიწყება .. ითვალისწუნებდა თავისს აწმყოს, მომავალს,..

— მე ვერ დავწმუნდე'ი იმაში, რომ კობამ მიღალატოს. ის უბატიოსნესი ადამიანია, ამას არ ჩაი-ენს. მართალია, ეს ერთი კეირაა არ მოსულა, მარა ამის

მიზეზი ეგზეკუციაა, მე მას უწინდებურად ვუყვარვარ, მარა ეს შეჩვენებულები არ უშვებენ. არა, მე ის არ შემარცხვენს, არ დამამცირებს, მიწასთან არ გამასწორებს! კობას კიდეც რომ არ ვუყვარდე, მაშინაც კი შევიდოდა ჩემს მდგომარეობაში და დამეხმარებოდა, თორემ ვუყვარვარ და მაშინ უარმყოფს? განა ისეთი ადამიანი, რომელიც დამცირებულთა და დამდაბლებულთათვის იღვწოდა და იღვწის, მათ თავს სწირავს, მათვე დაამცირებს? სიყვარულის მოცეკეული სიყვარულს უარყობს? არა, ეს შეუძლებელია!

— მარა ვინ იცის, იქნებ მან არ მიღალატოს, მარა სხვამ ჩაადენინოს მას ეს საქმე: იქნებ დაიპირონ და მაშინ ხომ ძალა უნებურათ უნდა ჩაიდინოს მან ღალატი! მარა რას ვამბობ? განა ეს ღალატი იქნება? განა ეს კობას უსინდისობის მომსწავებელი იქნება? არა და ათასჯერ არა. ეს იმ ბოროტი ძალის ბრალი იქნება, რომელიც ჩემს კობას და მის მოღვაწეობას ეხლა სამკვდრო სასიცოცხლოთ ებრძვის, ეს იმ ძალის მეოხებით იქნება, რომელიც მე კობასთან ნეტარებას მიშლის! მაშ მოსპობა ამ ძალას! გაუმარჯოს კობას და მის მოღვაწეობას! გაუმარჯოს კობას პატიოსან გრძნობებს!

წამოიძახა სიბრაზით გუგულემ და გახელებული ზეზე წამოდგა... თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა, მზათ იყო თავგანწირვისათვის. რაღაც ახალი, სრულებით უცნობი ძალა ამოძრავდა გუგულოს არსებაში და სრულებით გაიტაცა ნორჩი ქმნილება... ის ამ დროს უძლეველი იყო, დევგმირს ძალა მიეცა!..

ამ დროს კარების ხრაგუნი მოისმა.

— ვინ ხარ? ჰკითხა შემკთალმა გუგულემ. ხმა არავინ გასცა.

— ვინ ხარ?

— მე ვარ! მე!.. მოისმა ჩურჩული.

კარები გაიღო და კობა და გუგულოც ერთმანეთს ჩაეხვიენენ.

— გუგულო, ყური დამიგდე, დაიწყო კობამ, ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში ვარ? ხომ ხედავ რა დღეს გვაყენებენ ბნელი ძალები?! გაიხედე სოფელში, — ქვეყანა აწიოკებულია, უზარო ტირილია! გაქირვებულთ შველა უნდა, დახმარებაა საჭირო! ხომ ხედავ, დაბორკილეს თავისუფლება, არ ინდობენ არავის, ნებას არ გვაძლევენ ადამიანური გრძნობები დავიკმაყოფილოთ, — ერთად ვიცხოვროთ მე და შენ... გაიშვას, საუკუნოთ დაშორებას გვიპირებენ... ასევე სტანჯავენ მთელ ქვეყანას, სისხლში აღრჩობენ ყველაფერ სულდგმულს. ჩვენ, თუ ჩვენი ბედნიერება გვინდა, ამ ბნელ ძალას ვერ დავეშორჩიღებით. უნდა ვებრძოლოთ მას... ან ის, ან ჩვენ! მისი არსებობა ჩვენი უბედურობაა, მისი გაქრობა ჩვენი ბედნერებაა... გუგულო, მომეცი ხელი შემომფიცე, რომ ჩემთან ერთად მოკვდები შენც ბრძოლის ველზე, როგორც ჩვენი კერძო, ისე საერთო ბედნერებისათვის! შემომფიცე, რომ ჩემთან ერთად თავს შეაკლავ ბნელ ძალებს!.. უარყავ დედა, მამა, ნათესავები, დატოვე აქაურობა და წამოდი ჩემთან! შევუღგეთ ერთად ცხოვრებას, ბრძოლას, სწავლას, ჩვენივე ხელით ვეშენოთ ჩვენი ბედნერება!.. რას უყურებ გუგულო, შემომფიცე! მე შენი კობა ვარ!..

— კობა, კობა! რა ვქნა? რა ამბავია ჩვენს თავზე? ალბათ რაღაც უბედურობა მოგველის, შენ გაგიგია!.. კობა შენთან მოვკვდები, შენთან... და ატირდა სიხარულით გუგულო.

— გუგულო, მებრძოლს არც ტირილი და არც სიცილი არ შეშვენის, მე ხვალ მოვალ და უნდა წამოხვიდე ჩემთან!..

— კობა, მე შენთან ერთად მოვკვდები, ვფიცავ ჩვენს სიყვარულს! წამოიძახა გუგულემ, მარა კობა უკვე წასული იყო.

— ღმერთო, ეს ხომ მოჩვენება არ იყო? აა? სად წავიდა კობა, რა იქნა? გონება ხომ არ მატყუებს? არა, ეს ყველაფერი სიმართლე იყო! იქნება კობა იმისთვის წავიდა, რომ მე ტირილი დავიწყე? იქნებ ეწყინა, დამემდურა? არა, კობა აგრე წვრილმანი როდია! მე უბედური, რათ ვფიცხარი მაშინვე, რომ ხელით და გულით მი'ი ვარ და მზათ ვარ მასთან ერთად თენდა'ახრჩობელაზე ავიდე!.. ღმერთო ჩემო, ეს რა ბედნერებაა ჩემს თავზე: მე და კობა ერთმანეთის ვართ, — ერთად ვიბრძოლებთ, ვიცხოვრებთ!..

ისე მოვიდა მეორე დამე, რომ გუგულემ სიხარულში ვეღარ ვიძინა. შეღამდა და კობაც მოვიდა.

— მზათ ხარ? წავ-დეთ! უთხრა მან მისვლისთანავე.

კი გენაცვალე, მზათა ვარ, წუხელი რათ არ წამიყვანე. წავიდეთ, მე არაფრის არ მეშინია შენთან: არც სიღარიბის, არც შიმშილის, არც დევნის. შენთან მოკვდები და თავს შევაკლავ იმას, რაც ჩვენს ბედნერებას ხელს შეუშლის, ოღონდ შენ მითხარი და მე ქვის მტვრევას შეუდგები, ჯოჯოხეთში წავალ! აბა, გეხვაცვალე, ჩემი ხელი, მე შენი უერთგულესი მეგობარი ვიქნები, წავიდეთ, წავიდეთ!.. ვეცდოთ ჩვენი ბედნერება, მოვიშოროთ ყველაფერი ის, რაც ნეტარების გზაზე გვდგომება!.. მე შენი ვარ სიკვდილამდე! თავს შევაკლავ შენს ტატებს! მაშ წავიდეთ, ღვთიებავ, წავიდეთ! გავშორდეთ აქაურობას. თორემ ვინ იცის რას გვიმზადებენ ბნელი ძალე ბი. იქნებ კიდეც დაგვზვერა ვინმემ?

— გუგულო, ეხლა ხარ ნამდვილი ჩემი მეგობარი! მაშ წავიდეთ და გახსოვდეს, რომ სანამ არსებობს ის ძალა, რომელსაც მთელი ქვეყანა ასე შეუბოკავს და მე ასეთ მდგომარეობაში ვყავარ, ჩვენი სრული ბედნერება შეუძლებელია... ჩვენი ბედნერება საზოგადოების ბედნერებაა... მაშ წავიდეთ!..

ისინი მიდიოდენ ჩუმათ, ფეხ აკრეფით, ერთმანეთს არ ესტატყვებოდენ. კარმიდამო მიჩუმებული იყო, აგერ-ეგერ ძაღლები ღმუოდენ. ბუნებას ბნელი ზეწარი წაფარებოდა. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ილარეკებოდენ.

მამლებმაც იყივლეს, გათენების მოახლოვდა ამცნეს მძინებულთა.

კობა და გუგულო კი მიდიოდენ, უხმოდ მიდიოდენ წინ. უკან არც მოუხედიათ. ისინი თანდათან სამშვიდობოს გავიდენ, მოსალოდნელ უბედურობას თავს აღწევდენ... ორთავეს რაღაც ფუთები თან მიჰქ ნდათ.

— კობა, სად უნდა წავიდეთ? ჰკითხა გუგულემ.

— ტფილისში. იქ მე ამხანაგები მელიან. ჩვენი ამბავი მათ იციან. იქ ჩვენ ვიმუშავებთ, ვისწავლით. ვიცხოვრებთ, ერთად ვიქნებით...

ლეგა ცაზე ხარიპარია უკვე ამოვიდა მიჩუმებული არემარე იღვიძებს. ქარმა დაბერა... ისინი კი მიდიან, მიდიან სულ წინ და წინ.

— კუუუ... მოისმა უცებ წვრილი ხმა და არემარეც გამოეხმაურა.

— აი მატარებელიც... ცოტა ხანი და ჩვენც მოვშორდებით აქაურობას; გავქროლდებით შორს, შორს. და იქ კვლავ დავიწყებთ ბედნერების ძებნას, სთქვა კობამ...

— მეც შენთან ვიქნები, ჩემო ძვირფასო!..

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი მგზავრები ტბილისისკენ მიქროდენ. ორთავეს გული რწმენით იყო ალსავსე, სწამდათ, რომ ბედნერებას მოიპოვებენ და მშრომელთან ერთად ტკბილ ცხოვრებას მიეცემიან.

მ. მალაქიაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ი. ხერხეულიძე.

განცხადებანი

პ. ს. დოროჟნოვი

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი ტელეფ. № 583.

ამ ერთი კვირის განმავლობაში

ესე იგი **6, 7, 8, 9, 10** და **11 აპრილს**

ნაჭრების და შემოხვევით ნაიდ საქონლის

დიდი იაფობა

შემოხვევით ნაიდია ქარხნებში ძრავალი საუკეთესო საქონელი და ამიტომ ეს საქონელი ხსენებულ დღეების განმავლობაში განსაცვიფრებელ იაფ ფასებში გაიყიდება.

მუშტრების განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ განსაცვიფრებელ სიიაფეს:

ასეთი იაფი ფასები ჯერ არ ყოფილა

ჩითი 8 ნახ. კაპ. არშინი და მეტიც.
ჩითი კრეტონი 10 კაპ. და მეტიც.
ფერადი ტილო საფრანგეთის, ძალიან გამძლე 12 ნახევ. და მეტიც.
ქალის სახაფხულო კაბებისათვის მატერიები, ტუალ-საკი, გროს-ტუალ და საუკეთესო ბეეი, — ძვირფას მატერიების მაგიერობას სწევს, კარგი სახმარია 15 კაპ. და მეტიც.

მაუდის ტრიკო ნაჭრ. საშარვლე 2 მან. 10 კ. ნაჭერი და მეტიც.
მაუდის ტრიკო საკოსტიუმე 4 ნახ. არშ. 5 მ. 50 კაპ. ნაჭერი და მეტიც.
შალის მატერიები ლაუნტენის 45 კ. არშ. და მეტიც.
სხვადასხვა საუკეთესო ფერადი აბრეშუმის ფულიარი 29 კაპ. არშინი და მეტიც.
მრავალი ნაირნაირი შალ-ს მატერიები
სპპირსახოცე ნაჭრები 7 კაპ. არშინი და მეტიც.
მომზმდებული წერები წითელ ზოლიანი 76 კაპ. თითო და მეტიც.
სათეთრეულე მატერიების ნაჭრები.

შეკერილ თეთრეულის და ნაქსოვების განყოფილებაში ყველა დარჩენილი საქონელი განსაცვიფრებელ იაფ ფასებშა

მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილია ყველა საქონლის ნიმუშები თავთავის ფასების აღნიშვნით.

პ. დოროჟნოვი

გალოშები
პროვოდნიკისა

კატენტ-მიღებული

საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე.

პირველი ადგილი უშვირავს სიმკვიდრით და ზედმოსმარე ბულ ფასონის სიდ-ამაზით და საქონლის ღირსებით.

ეს ფასონი ყველა ფეხზე ადამიანისა ზედ ეყრება ფეხზე ადამიანისა ფეხზე ეყრება

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისათვის

თფილისში
სოლოლაკის ქუჩა,
სახლი № 4.



გალოშები

პროვოდნიკისა

იყიდება ნარდათ და ცალოგით

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ამხ. "სოროპანი"-სა, მიდათოვის კუნძული №1, ტელეფ. № 539